გაბატონებული დისკურსის სატირული დემონტაჟი ვაჟა-ფშაველას პოეტურ ციკლში „ქებათა-ქება“

მარიამ ბახტაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფ. ფილ. დოქტ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

ეძღვნება პაატას

აბსტრაქტი

ვაჟა-ფშაველას მეტწილად უგულებელყოფილ პოეტურ ციკლში *ქებათა-ქება* წარმოჩნდება მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოების ძალაუფლებრივი დისპოზიტივი, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, სახელდობრ, წარმოჩნდება ძალაუფლების გავრცელების სამი დონე, რომლებიც განისაზღვრება როგორც სოციალური ქმედებები, სოციალური ინსტიტუტები და სოციალური ფორმაცია. წინამდებარე ნაშრომში განხორციელდება პირველი ცდა ვაჟას ლექსების ანალიზისა დისკურსის თეორიული მიდგომის გამოყენებით. გაანალიზდება გამორიცხვის მეთოდები, ნორმალიზმები და ნორმალიზაციის პროცესები, დევიანტური ქმედებები და კოლექტიური სიმბოლოები. კვლევის შედეგად გაირკვევა, როგორი ურთიერთმიმართებაა ძალაუფლებრივ დისპოზიტივში, განისაზღვრება გაბატონებული დისკურსი, ღირებულებებათა სისტემა და მათი იდეოლოგიური საფუძვლები. ამასთან, ნაშრომში ანალიზის შედეგად წარმოჩნდება კონტრდისკურსები და ღირებულებათა სუბვერსიული სისტემები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, ქებათა-ქება, დისკურსი, კოლექტიური სიმბოლოები, ნორმალიზმები

Abstract

In Vazha-Pshavela's largely neglected poetic cycle „The Song of Songs", the power dispositive of nineteenth century Georgian society appears, characterized by several features. Specifically, three levels of power distribution are identified: social actions, social institutions, and social formation. In this paper, the first attempt will be made to analyze Vazha's poems using a discourse theoretical approach. Mechanisms of exclusion, normalisms and normalization processes, deviant actions, and collective symbols will be examined. The research will reveal the relationships within the power dispositive, determine the prevailing discourse, and identify the system of values and their ideological foundations. Furthermore, the analysis will uncover counter-discourses and subversive systems of values.

Key Words: Vazha-Pshavela, The Song of Songs, discourse, collective symbols, normalisms

მადლობა

მადლობას ვუხდი, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ ლევან ცაგარელს, გაწეული შრომისათვის.